ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 16

ქ.ონი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 19 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა მისამართი: ქალაქი ონი, მინდელის ქ №1

ს/კ 237976981; ს/ს „ლიბერთი ბანკი",ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა **GE52LB0120153119605000** (შემდგომში" შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ ი/მ „მერაბი გრძელიშვილი" მისამართი სოფელი ზუდალი, ს/კ 34001007876, ს/ს"საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი BAGAGE22; ა/ა **GE62BG0000000837516900** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: სსიპ ქალაქ ონის საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვაზე CPV-45400000 თანხით 4700.72 (ოთხიათას შვიდასი ლარი და 72 თეთრი) ლარი

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

1.მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების შესაბამისად.

3.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 19 სექტემბრიდან 2014 წლის 31 ოქტომბრამდე.

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1 .არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე , თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

სამუშაოების შესრულების პირობები

1. სამუშაოს შესრულება ხორციელდება მოცემული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით

2. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

3. თუ მიმწოდებელი ვერ ასრულებს სამუშაოებს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

4. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

თანმდევი მომსახურება

1.მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1.შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად , მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

4. შესყიდვის ობიექტის(მისი ნაწილის) მიღების და /ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

ანგარიშსწორება

1.შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად,გადარიცხვით, მასალების შეძენისათვის წინასწარ 30%,დანარჩენი შესრულებული სამუშაოს შესახებ მოთხოვნის ფორმა №2-ის და ფორმა №3-ის და სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.ასევე ექსპერტიზის დასკვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუზველზე რეალურად შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის თაობაზე, მათ შორის ექსპერტიზაზე გაწეული ხარჯის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი .

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1.მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სადაო საკითხების გადაწყვეტა

1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ ქალაქ ონის საჯრო სკოლა, მისამართი: ქ.ონი მინდელის ქ.#1,ტ 593 64 36 88; ს/კ 237976981; ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი LBRTGE22; ა/ა GE52LB0120153119605000

დირექტორი : დალი რაზმაძე

ი/მ „მერაბი გრძელიშვილი“, მისამართი:ონი სოფ.ზუდალი. ს/კ 34001001010, ს/ს“საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი BAGAGE22; ა/ა - **GE62BG0000000837516900**
წარმომადგენელი: მერაბი გრძელიშვილი